



PRESS RELEASE

გავრცელდეს დაუყოვნებლივ
11 დეკემბერი, 2018

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის
პრესსამსახურის უფროსს კესარია წულაიას
+995 593036000 kesaria.ts@gmail.com
ქეთი რეხვიაშვილს, USAID Zrda Activity
+995 32 222 74 95/ krekhviashvili@zrda.ge

საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციის და USAID/Zrda-ს ინიციატივით და სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) დაფუძნდება

ზუგდიდი - 2018 წლის 11 დეკემბერს, USAID Zrda პროექტის ხელმძღვანელმა ბრაიან კინგმა და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის მოადგილესთან, ნინო ვიბლიანთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO) დაფუძნების მზაობა ხელმოწერით დაადასტურეს. DMO-ს მიზანია სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ტერიტორიის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობა და მისი პოპულარიზაცია.

სამეგრელო-ზემო სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ტურისტული რეგიონია, სადაც ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას ერწყმის ბუნების განუმეორებელი სილამაზე და სათავადასავლო ტურიზმისთვის დამახასიათებელი უპირატესობები. DMO-ს დაარსებით, Zrda და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია ერთობლივად განსაზღვრავენ რეგიონში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებულ გამოწვევებს და დაადგენენ პრიორიტეტებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის პოპულარიზაციას და მის უკეთ წარმოჩენას. სამეგრელო-ზემო სვანეთის DMO გაითვალისწინებს რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის შესახებ უკვე არსებულ კვლევებს და ასევე თავს მოუყრის სხვადასხვა დონორებისა და ტურიზმის სფეროში მომუშავე ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს. გარდა ამისა, DMO ჩაატარებს რეგიონში ყველა ტურისტული ღირსშესანიშნაობის არსებული მდგომარეობის ანალიზს, მოიძიებს და დანერგავს ახალ მიდგომებს, რაც ხელს შეუწყობს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას. პარალელურად, Zrda და საქართველოს ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაცია თანამშრომლობენ სამცხე-ჯავახეთის DMO-ს დაარსების მიმართულებით.

სამეგრელო-ზემო სვანეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ტურიზმის განვითარების მოდელის შექმნის ხელშეწყობის და მისი პოპულარიზაციის მიზნით, Zrda და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2016 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობს და ტურიზმის განვითარების სამუშაო ჯგუფთან ერთად ორგანიზება გაუწია რეგიონული ტურიზმის განვითარების 2 სიმპოზიუმს სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები და პრიორიტეტები განისაზღვრა.

რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდასაჭერად, Zrda ხელს უწყობს ახალი ტურისტული პროდუქტის შემუშავებას, ახალი ტურისტული ობიექტების და ღირსშესანიშნაობების პოპულარიზაციასა და ტურიზმის



სექტორში ჩართული მხარეების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესებას კომპლექსური მიდგომის გამოყენებით. ახალი ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით, პროექტმა ორგანიზება გაუწია

საინფორმაციო და მედია ტურებს, სემინარებს და ტრენინგებს, რის შედეგადაც გაიზარდა რეგიონებში არსებული ტურისტული ობიექტების ცნობადობა და ვიზიტორ-დამსვენებლის მაჩვენებელი. აღნიშნული ძალისხმევების შედეგად მოხერხდა 3.2 მილიონი აშშ დოლარის გაყიდვების გენერირება. დღემდე, Zrda-ს მიერ მხარდაჭერილი, ტურიზმის ინდუსტრიაში და კვების სექტორში მომუშავე სუბიექტების მიერ, რომლებიც დარეგისტრირდნენ საერთაშორისო საძიებო სისტემებში (Booking.com, Tripadvisor.com, და AirBnB.com) გენერირებულმა გაყიდვებმა 5.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ასევე, საქართველოში სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, Zrda-მ ლაშქრობების, კემპინგის, ჯომარდობისა და კანიონინგის მიმართულებით 60 ვიდი გადაამზადა. Zrda-ს და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მარკირებული საფეხმავლო მარშრუტების ამსახველი 38 ელ-რუკის განთავსება საერთაშორისო საძიებო სისტემაზე www.wikiloc.com, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს სათავგადასავლო ტურიზმით დაინტერესებულთა შორის. აღნიშნულმა ინიციატივებმა ხელი შეუწყო ადგილობრივი თემების შემოსავლების ზრდას და განვითარებას.

USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტი ზრდა არის ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას საქართველოს ხუთი რეგიონის 81 თემში. ზემოაღნიშნულის მისაღწევად, პროექტი განხორციელებს შემდეგ ინიციატივებს: მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება; სოფლის მეურნეობის შემოსავლების ზრდის ხელშეწყობა; მენარმეებსა და მყიდველებს შორის საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება; ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა ბიზნესკავშირების დამყარებისა და გაძლიერების მეშვეობით. პროექტი მოიცავს ადმინისტრაციული საზღვრისპირა და ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული თემებს. პროექტის განხორციელების შედეგად სამიზნე თემებში შეიქმნება სამუშაო ადგილები, ოჯახებს გაეზრდება შემოსავლები და მნიშვნელოვნად გაძლიერდება ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ: <https://www.facebook.com/zrda.ge>; www.zrda.ge